ფრე აქტიურობის მიუხედავად

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 22 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) – “ტორპედო” (მოსკოვი) 0:0.

“დინამო”: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, გოგრიჭიანი, გურული ცაავა, ჩქარეული.

“ტორპედო”: სარიჩევი, კრუგლოვი, პოლუკაროვი, გოსტენინი, ჟუპიკოვი, დოზმოროვი, პრიგოდა, კობზევი, ბურიაკი, სუსლოპაროვი, რედკოუსი.

65–ე წთ. ჩქარეულის ნაცვლად – მესხი, 70–ე წთ. გოგრიჭიანის ნაცვლად – სულაქველიძე, 77–ე წთ. სუსლოპაროვის ნაცვლად – პივცოვი, 84–ე წთ. კობზევის ნაცვლად – ნ. სავიჩევი.

მსაჯი: ივან ტიმოშენკო (დონის როსტოვი).

კარში დარტყმა – 10:12 (5:5), ზუსტი დარტყმა – 0:6 (0:2), საჯარიმო მოედნიდან – 2:6 (1:2).

კუთხური – 4:3 (3:3).

დაჯარიმდნენ – თბილისელები 12 (5), მოსკოველები 14 (11).

მატჩის დასაწყისი იმედის მომცემი გამოდგა. მასპინძელთა ათივე ფეხბურთელი ერთბაშად ჩაერთო თამაშში, “დინამო” სწრაფად აგვარებდა როგორც დაცვის, ისე შეტევის ორგანიზაციას და სტუმრებს, ბუნებრივია, გაუჭირდათ. გაუჭირდათ, მაგრამ სულ რაღაც ათიოდე წუთი, რადგან მალე გაირკვა, რომ თბილისელთა აქტიურობა მყარი არ იყო. ერთადერთი, რაც ამ ენერგიულმა დასაწყისმა მოუტანა “დინამოს”, ალექსანდრე ჩივაძის ძლიერი დარტყმა იყო. სამწუხაროდ, ისიც კარს აცდა.

თამაში გათანაბრდა. ორივე გუნდი მონაცვლეობით გადადის შეტევაზე, სახიფათოდ ურტყამენ თბილისელთა კარისაკენ პოლუკაროვი, კობზევი, ბურიაკი; დინამოელთაგან დასახსომებელი იყო კაკილაშვილის ეფექტური იერიში და ცაავას დარტყმა.

მინდვრის ცენტრში მასპინძელთა, ცოტა არ იყოს, უსისტემო თამაში იმანაც განაპირობა, რომ ერთობ ცალმხრივად გადაიჭრა ბურიაკის პრობლემა. ცალმხრივად იმიტომ, რომ ბურიაკს, მართალია, არ მიუღია მონაწილეობა თბილისელთა კარზე უშუალო იერიშში, მაგრამ მინდვრის ცენტრიდან ოსტატური პასებით სახიფათო მიმართულებას აძლევდა მოსკოველთა იერიშებს. არ ვიცი, მატჩის წინ ბურიაკის რანაირ მოქმედებას ვარაუდობდნენ მასპინძლები, ეს კი არის, რომ უშუალოდ მინდორზე მას შემთხვევიდან შემთხვევამდე მეურვეობდნენ ჭედია და კაკილაშვილი. დინამოელთაგან არავის, მათ შორის ჭედიასა და კაკილაშვილს, იოტისოდენად არ შეუშლიათ ხელი ბურიაკისთვის ეკეთებინა ის, რაც მას ყველაზე უკეთ ეხერხება.

მეორე ტაიმი ბევრი არაფრით განსხვავდებოდა პირველისგან. თბილისელთა იერიშები ცაავას შორეული დარტყმებით გამოიხატა, აი, სტუმრებს კი, სულ ცოტა, ორჯერ მაინც (18–ე და 65–ე წუთებზე) ჰქონდათ გოლის გატანის შესაძლებლობა. 76–ე წუთზე ბურიაკის, კრუგლოვისა და დოზმოროვის მიერ გათამაშებული კომბინაცია იმდენად ლამაზი იყო, რომ გულწრფელად შემშურდა და “დინამოს” არც თუ შორეული წარსულიც მომაგონდა.

თუმცა მარტო ეს არ იყო, როგორც ჩანს, დადგა დრო, როცა თბილისელებს ბევრი რამის სწავლა თავიდან მოუწევთ, ბევრიც სხვისგან უნდა გადაიღონ, თუნდაც ის, რომ მოსკოველთა ერთ–ერთი იერიშის დროს კობზევმა და რედკოუსმა პასის მოლოდინში ხუთჯერ (!) მოასწრეს ადგილების გაცვლა.

86–ე წუთზე ცაავამ კიდევ ერთხელ სცადა შორიდან გაეტანა გოლი და კვლავ უშედეგოდ. და საერთოდ, შესაძლოა უხერხულიც იყოს, მაგრამ აუცილებელია ერთი რამის აღნიშვნა: მთელი ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში თბილისის "დინამომ" საჯარიმო მოედნიდან, ესე იგი ახლოდან სულ ორჯერ მოახერხა მოსკოველთა კარისკენ დარტყმა, საერთოდ კი არც ერთი დარტყმა სტუმართა კარისკენ ზუსტად არ წასულა.

ირაკლი ბერიაშვილი.
"ლელო", 23 ივნისი, 1985 წ.